ეს მხატვარ მალეც ცხალბას ადლამ“ გადღებულად უკანასკნელი ფურცლა თურნალის მორაც ნიბრის ამხივებდა. რადგათი წელი იმეუბნა მლავა ცხალბით წენეს თურნალში, რადგათი იტყვი დედისისა და მამისის ბავშვობასაც დღესაც ემსიხვებოდათ. დიფიეფი-ფიფიკა ემსიხვებოდათ, უფროა, კეთილ დიფიეფი, თეორიეფი ბავშვობაზეა ნიჭეფი... მლავა ცხალბით ადლის“ გარემოში შემოსიკობას ცნობდა ქარაველი მხატვარი იმეუბნა წინადადებით, ვერცოდ ამხატვა კატბრე ჯუღაშვილი, ზურას შემოსიკობის, მამის სიყვარული, ზურას ფრთხილბე, ვეზულ ღილეყო, მალხაზს ეკუთხაღილე, ვიორეა რომინიშვილი (მუხრანში ადლის“ სამხატვრო რედაქტორი, ზურა დევისი), ბესი სიღამილე, სიეოი კანქარაშვილი და სხვანი და სხვანი. თუ დეკამენტრესებო, თბიეყო მშობლებს ბავშვობის დროინდელი წიგნები მოიხიბნენ, აუცილებლად ექმნებოდათ შემოსიკობისა და მლავას გათორიშული ადორიან დიფიანა“, არწილი და ჭიჭი... „სამხატვრო რედაქტორი“, კომპოზ...“



სწავლითა სამშობლო გაახარეო!



# მისწვევი ბარათი

შეაჩვენეთ ეს ბარათი  
 შპს სივლიცხე ზღო აშპ სკოლისა და  
 ბავშვის ჯანდაცვის განყოფილება  
 ჩვენი თქვანის მომსახურების  
 დასახვის დრო ხურობ

**მომსახურე სტანდარტი**  
 ბავშვი უნდა გაიხაროს  
 მისი ყოველი წამი

**უკონკრეტო ჩვენობა**  
 ჩვენი ბავშვები  
 მართლაც არიან  
 ჩვენი ბავშვები  
 მართლაც არიან  
 ჩვენი ბავშვები  
 მართლაც არიან

ვინა ბოლომდე  
 დაბადების დღის!

ესენი ხემა  
 შევობობენ  
 არიან!

ყველანი  
 ნაბიჯობენ!



სიხარული მავითქვას!  
 ვინა, ანა...

შეაჩვენე რა!

ორივეს შეაჩვენებო!

შეაჩვენე  
 თავს!



ჩემს ბავშვს!  
 სიხარული უნდა  
 იქონიეს!



კანონი 894 წელიწად  
 კანონმდებლობის  
 მოთხოვნის შესაბამისად  
 მოთხოვნის შესაბამისად  
 მოთხოვნის შესაბამისად

სსიპ-ის შემადგენელი  
 დასახვის განყოფილება  
 სსიპ-ის შემადგენელი  
 დასახვის განყოფილება  
 სსიპ-ის შემადგენელი  
 დასახვის განყოფილება  
 სსიპ-ის შემადგენელი  
 დასახვის განყოფილება  
 სსიპ-ის შემადგენელი  
 დასახვის განყოფილება  
 სსიპ-ის შემადგენელი  
 დასახვის განყოფილება  
 სსიპ-ის შემადგენელი  
 დასახვის განყოფილება  
 სსიპ-ის შემადგენელი  
 დასახვის განყოფილება

ფონი ნახატი  
 666 1666555

6666666666  
 მოთხოვნის შესაბამისად  
 ტელ: 93 9 32, 93 4 30  
<http://www.dila.ge/>  
 ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com





ბ. 95 / 18

ქართული  
ბიბლიოთეკა

# 100 დღე 100



კოსტავას ქ. 14, V სართელი





# საბავშვო ჟურნალი

## ჩაქისნი ქოცლიჩხი

დღე-მამასაც და ბებია-ბაბუასაც რომ გულწრფელად უყვარო პატარა, მისთვის ყველაფერი კარგი რომ სურთ და ემეტებათ, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. მაშ, რატომაც, რომ ზოგ ოჯახში პატარას შემომატება ხანდახან ბზარს აჩენს უფროსების ურთიერთობაში? სად ვეძებთ ამ გაუგებრობის სათავე?

## მშვიდობით, პამპერსო...

## წლანი აოსილი იცხუნებულნი

- არ ირბინო! არ იტუნო! არ იხმაურო! ხელს ნუ მიშვილი... - ასეთი შეზღუდვა სავალალო შედეგებით მთავრდება.

## ღაბჰჰირლით სერხეხელს!

## ალერგია - საიდან?

ბოლო დროს ბავშვებს შორის ალერგია ძალიან გახშირდა. ეს დაავადება მემკვიდრეობითაც გადაეცემა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენც, უფროსებიც, ხშირად ვუწყობთ ხელს მის გავრცელებას. როგორ?..

## ქართული - სახალხო მკურნალი

კარტოფილი საფრთხილია გაზაფხულზე, შემდეგ კი, განსაკუთრებით შემოდგომაზე. თამამად შეგვიძლია დავტკებთ მისი გემოთი და არომატით, მეტიც, კარტოფილით გავიუმჯობესოთ ჯანმრთელობა.

## ეხიოზები

ნათქვამია, პირველი შვილი დედისთვის ბოლო თოჯინაა, ხოლო პირველი შვილიშვილი ბებიისთვის – ნაბოლარა შვილი. ნაბოლარა, მოგესვენებთ, განსაკუთრებით უყვართ და ათამამებენ, ამას კი მშობლები ზოგჯერ აპროტესტებენ – მოკლედ, ოჯახში კონფლიქტი მწიფდება. თავის მხრივ, მშობლებიც მართლაც არიან და ბებია-ბაბუებიც. როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან უსამიფენა, როგორ უნდა აგავიფოთ? ბავშვი ისე, რომ, პირველ ყოვლისა, პატარა ადამიანი არ დაგვიზარალოს?

**დედ-მამასაც და ბებია-ბაბუასაც რომ გულწრფელად უყვართ პატარა, მისთვის ყველაფერი კარგი რომ სურთ და ემეტებთ, ამაზე ლაპარაკი არ ღირს. მამ, რატომაა, რომ ზოგ ოჯახში პატარას შემომატება ზანდანან ბზარს აჩენს უფროსების ურთიერთობაში? სად ვებით ამ გაუგებრობის სათავე?**

მშობლები ახალგაზრდები და გამოუცდლები არიან. მიუხედავად მათი იდეებისა და ბავშვთან დაკავშირებული გეგმებისა, ისინი ადვილად ვერ ახერხებენ ცხოვრების ახალ ფაიდაზე ადაპტაციას? ბავშვის გაჩენის შემდეგ, მათთვის მთავარია ახალი ოჯახური კერის შექმნა, ფეხმძიმობა-მშობიარობით არეული ინტიმური ურთიერთობის ისევ დალაგება, პირადი კარგობა.

მამებს ახალი საზრუნავი უჩნდებათ – ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა. ამავე დროს ბავშვის აღზრდაზე გზადაგზა კრეფენ ინფორმაცია-კონსულტაციებს თავიანთი პრაქტიკაგამოვლილი სამეგობროსაგან. ერთი სიტყვით, ახალბედა დედ-მამის არც თუ ირთულ-პრაქტიკული და არც მორალური მზადყოფნა საქმარისი არ არის ბავშვის აღსაზრდელად და შედეგიც არ აყვინებს: მთელ გაღიზიანებას ისინი ოჯახის წევრებზე ანთხევენ.

ახალგაზრდებს უნდათ ბებია-ბაბუები „ალადინის ლამპრომ“ მართონ: გაუჭირდებათ თუ არა, მომენ-



ტალურად აჩხავლებულ პატარასთან გააჩენენ, დაულოხნდებათ – ასევე წაშში გააქიბონ. არადა, ეს ბებია-ბაბუები ხშირად ჭარბად აღმამინები არიან და არა – ჩანანაკი მოხუცები; მათ თავიანთი სრულფასოვანი ცხოვრება აქვთ, თავიანთი წრე, ინტერესები, თუნდც გასართობი... ზოგს კი ასაკის კვალბაზე, საკმაოდ შემოსავლიანი სამსახურიც, რომლის საშუალებითაც ისინი ისევე უწყვენ „სპონსორების“ ოჯახურ უღელში გაბმულ თავიანთ შვილებს. შვილიშვილები მათთვის დიდი ბედნიერებაა, მაგრამ... ახალგაზრდების ჭკუაზე საირაულს არ აპირებენ. ბებიების მხარეს მყარი არგუმენტია – დედობის გამოცდილება, ბავშვებისა და მოზარდების ფსიქოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა, მორალური ავტორიტეტი და პერსონალური დამსახურება (მათ შორის – სამსახურებრივც). ბებიები დაჟინებით იმეორებენ თითქმის უწყინარ ფრაზას – „შვილო შენ ჩემთვის ყოველთვის პატარა ხარ და პატარა დარჩები.“

ამ ფრაზებში თვლემს საშინი სურვილი: შეცვალონ მშობლები და ხელში ჩაიგდონ მართვის სადავები. სწორედ აქედან იწყება უთანხმოება – შვილები ხომ მშობლებისგან უპირობო დახმარებას ელოდებიან ყოველგვარი „ანგარების“ გარეშე, ისინი კი ახალგაზრდებს თავს ახევენენ მათი გაგებით ერთადერთი სწორ პოზიციისა და ღამის ეცილებიანი მშობლის „ფიტულს“.

მოკლედ, იკვირება ორი პოზიცია: პირველი გამოწვეულია ახალგაზრდა მშობლების უსუსურობით აქტიური ბებიების ფონზე – „ოქქენ ისეთი ახალგაზრდები და ენერგოულები ხართ, – წუწუნებენ გულდათოუთული ბებიები, – ახლა იწყება ყველაფერი და უცებ ბავშვმა... წარმოვიდგინათო კი, რაღვინ შრომაა საჭირო? რამდენი უძილო ღამე? სანამ დეო გაქვთ, ვაიხარეთ, ჩვენ კი დაებერეთო, ჩვენი მოუჭამეთ... პატარას ხომ არ მივატოვებთ, ჩვენ მოუვლეთო, თქვენ არ ინერვიულოთ.“ – ახალბედა მშობლები ვერ თვალისწინებენ შედეგებს და ზოგჯერ შეუბიჯებ აბარებენ ბავშვს ბებიის საიშელო ხელებს. შედეგს კი ვეიან მოიმკიან, როცა წამოზრდილ შვილში საკუთარ შტრინებს ვერ აღმოაჩენენ და ვერ იგრძნობენ კეთილგანწყობას.

დამეტარალურად საპირისპირო სურათია, როცა ახალბედა მშობლები კატეგორიულად არ რევენ ბებიებსა და ბაბუებს ბავშვებთან ურთიერთობაში, მათს აღზრდაში. ეს, ძირითადად ემართებათ მეტისმეტად „თანამედროვე“ მოაზროვნე დედებსა და მამებს. ასეთი მიდგომა უსარგებლოა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდები მშობლებთან ცხოვრობენ. ძალიან დამთრგუნელია, როცა პატარა ტირის, დედა საუზმეს უშზადებს ქმარს, ბებია კი თავის თიახს ვანებს ხმაურით ალაგებს, რომ ბავშვის ტირილი არ გაიკონოს: დამოუკიდებელი მშობლების დევიზი ხომ ეს არის: – ჭარ ჩაერთო! ჩვენ უკეთ ვცით, ჩვენს შვილს რაც სჭირდება!“

ასეთი ურთიერთობა იწყებს წვრილმან თუ მსხვილმან კინკლავის ოჯახის წევრებს შორის – დედა უკრძალავს ბავშვს ქუჩაში ნაყინის ჭმასს, ბებია კი ორ

### მშვილობით, პამპერსო...



ულუფას სთავაზობს; მამა ბავშვისგან ითხოვს სადილობამდე მიაღვლოს მიმოფანტული სათამაშოები, მოსიყვარულე ბებიები და ბაბუები კი საშველად არიან მომართულნი და შხად არიან ბავშვის ნაცვლად თვითონ შემგრნენ მაგიდის ქვეშ. აი, ბებია თუწმით ხელში ტელევიზორთან მოკალათებულ ბავშვს წინ საკმელს უდებს - არა უშავს, აქ ჭამოს, ცოდაო, მულტფილმებს უყურებსო... აქ უკვე ჩრდილი ადგება მშობლების სიტყვას და ეკვივი კი ჩნდება - განვებ აკეთებენ ამას თუ უნებლიეთ?

მიუხედავად კითხვას: მაინც როგორები არიან უმეტესად მშობლები და ბებია-ბაბუები? რა თქმა უნდა, მოსიყვარულე ბებიები და ბაბუები სიკეთის მეტს არაფერს მოუტანენ თავიანთ შვილიშვილებსა და მათს მშობლებს! მაგრამ უნდა გაეთვალისწინოთ, რომ ისინი ხშირად მოქმედებენ გულის კარნახით და ერთგვარი შიშითაც - გაითუ „ვერ მოესწრონ“? თავის დროზე, როდესაც ახალგაზრდები იყვნენ, მათ ვერ მისცეს, ვერ გაუკეთეს შვილებს ის, რაც უნდოდათ, რაც ჩაფიქრებული ჰქონდათ და ახლა ცდილობენ შვილიშვილებზე ზრუნვით აინახაურონ.

ამიტომ გაიფიქრებთ ხშირად ამ საშინელ ფრაზას - „თუ გინდათ ბავშვი ზრდილობიანი იყოს, ნუ ჩარევთ საქმეში ბებიებს!“ გაქვთ კი ამის თქმისა და ყველაფერში უფროსების დადანაშაულების უფლება? არა! შეცდომას ყველა უშვებს, მისგან დაზღვეული არავინაა. არადა, ახალგაზრდა მშობლები ნაკლებად ამჩნევენ თავიანთ შეცდომებს, უფრო ღრმა კვალს რომ ტოვებს ბავშვების ფსიქიკაზე, ვიდრე ბებიებისა და ბაბუების მხრიდან „განებიერება“.

**დაიმასხვოროთ:** უნივერსალური სქემა არ არსებობს, ყველა ოჯახში ინდივიდუალური „პლანისირების სქემა“, მაგრამ ძველი ოჯახური ტრადიციები არავის გაუუქმებია - მათ დღესაც უწინდებურად უნდა ვუფროსიხდებოდეთ.

მშობლებმა იციან, რომ ბავშვი წლის ან წლინახევრის ასაკიდან უნდა მიაჩვიონ ღამის ქოთანს. გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ ბავშვს თავისი ინდივიდუალური „განვითარების გრაფიკი“ აქვს დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ პატარა ფრთხილად და დიდი მოთმინებით მივაჩვიოთ სიახლეს.

**1** დასვით ბავშვი ღამის ქოთანზე გასეირნების წინ, ძილის წინ და ახალგაღვიძებულზე;

**2** ბავშვებს მოსწონთ მრავალჯერ ჩასველებული პამპერსები, რადგან მასში თავს „თბილად“ გრძობენ. ახლა მათ მოუწყვეთ ბამბის ტრუსებში შეგუება, ის კი ადვილად სველდება. პატარებს „კომფორტის“ დათმობა ეძნელებათ. ამიტომ საჭიროა ყოველთვის ახლოს გვედგათ ღამის ქოთანს და საჭირო მომენტი დროულად შეარჩიოთ;

**3** აუსწინეთ და აჩვენეთ ბავშვს, თუ რას ითხოვთ მისგან. დამხმარედ შეიძლება მისი ყველაზე საყვარელი სათამაშოც კი გამოიყენოთ.

**4** ზოგ ბავშვს, ემზარება „მუსიკალური“ ღამის ქოთანი, რომელიც საჭირო მოქმედების შემდეგ პატარას სასიამოვნო მელოდით აცლიდობებს;

**5** გამოიყენეთ ის, რომ ბავშვები ხშირად ჰმაძივენ უფროსებს. არაფერია სასირცხრო იმაში, რომ ბავშვები თვენი საშუალებით გაივლინ საბირფარეშოს დანიშნულება; შეიძლება მას გაუჩნდეს სურვილი, „მოსინჯოს“ თავისი ძალები“ პატარა საბავშვო ტყავის საშუალებით.

**6** არ დასაჯოთ პატარა „მარტვის“ გამო, გახსოვდეთ, ის ამას თავადაც განიცდის.

**7** იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი თვითონ მოგთხოვთ ღამის ქოთანს, აუცილებლად შეაქვთ — ის ამას იმსახურებს.



ადამიანის განმრთიელობას და ჰარმონიულ განვი-  
თარებას ბავშვიბიდან ეყრება საფუქსველი. ამ მხრივ  
განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სკოლამ-  
დელი ასაკი — 3-იდან 7 წლამდე, როდესაც ბავშვი  
ინტენსიურად ვითარდება ფიზიკურად და გონებრივად,  
ითვისებს უზარმაზარ ინფორმაციას. ეუფლება მოძრა-  
ობის წვევებს. სწორედ ამ პერიოდში ფორმირდება და  
მყარდება ძირითადი მოძრაობები: სიარული, სირბილი,  
ხტობა, ყალიბდება ტანდევობა, სხეულის მართვის  
უნარი, გამოიკვეთება ხასიათის ისეთი თვისებები, რო-  
გორიცაა ინიციატევა, მიზანსწრაფვა, დამოუკიდებლო-  
ბა. ამ დროს ბავშვი ყველაზე მეტად სწორედ მოძრა-  
ობით ახერხებს თვითგამოხატებას, შეიმეცნებს გარე  
სამყაროს და ამით უდიდეს სიამოვნებას იღებს.

ხშირად მშობლები (განსაკუთრებით ქალაქებში)  
უფრო მეტად შეილების ინტელექტუალურ და ეს-  
თეტიკურ აღზრდაზე ზრუნავენ, ფიზიკურ განვი-  
თარებას კი თავისთავად მიმდინარე პროცესად მიიჩ-  
ნევენ და არ აქცევენ ყურადღებას, რომ ბავშვები  
ხშირად არასწორად დადიან, დარბიან, დგანან და  
სხედან. ასევე ხშირია ბავშვის მოძრაობითი აქტივობის  
დათრგუნვა უფროსების მიერ — არ ირბინო! არ  
იხტუნო! არ იხმაურო! ხელს ნუ მიშლი... — რაც ძალ-  
ზე უარყოფითად მოქმედებს ბავშვის გუნება-  
განწყობასა და მის ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე.

მშობლის სწორ მიდგომას შეუძლია ბავშვს ააცი-  
ლოს ისეთი პათოლოგიური მდგომარეობის განვითა-  
რება, როგორიცაა ტანდევობის დარღვევა, სკოლიოზი,  
ბრტყელ ტერფიანობა და სხვა დეფორმაციები. უკვე  
ჩამოყალიბებული პათოლოგიის დროს ექიმთან და  
მეთოდისტთან მშობლების თანამშრომლობა თითქმის  
გადამწყვეტ როლს თამაშობს ბავშვის გამოჯანმრ-  
თელებაში.

მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ ბავშვის სწორი  
ფიზიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია  
სწორი ტანდევობის ჩამოყალიბება.

**ტანდევობა** — ეს არის ადამიანის ჩვეული პოზა  
კუნთების დაუნაბავად დგომის ან ვადომის დროს. სწორი  
ტანდევობა ნიშნავს არა მარტო ღამაზე ფიგურას,  
არამედ განმრთულ ხერხემალსაც, რაც მნიშვნელოვან-  
წილად განაპირობებს ზოგად განმრთიელობას.

ბავშვის ტანდევობა ძირითადად 3-7 წლის ასაკში  
ყალიბდება. მშობლებმა ეს პერიოდი უყურადღებოდ არ  
უნდა დატოვონ. აუცილებელია დროულად ბავშვის  
ტანდევობის შემოწმება. ამისთვის საჭიროა ბავშვს  
გავხალით ტანსაცმელი და ჯერ წინიდან დავაკ-  
ვირდეთ: თავი ბავშვს სწორად უნდა ეკვიროს, ილიის  
ფოსობები, ლავიწის ძელები და თვის ძელის ქედები  
სიმეტრიული უნდა იყოს, წელის სამკუთხედები (სივ-  
რცე სხეულის გვერდით ზედაპირსა და თავისუფლად  
ჩამოშვებულ ხელებს შორის) — თანაბარი, მოწმდება  
აგრეთვე კვირისტავებისა და კოჭების სიმეტრიულობა  
და ქვემო კიდურების ვერტიკალური ღერძი. (სურ. 1).  
შემდეგ ტანდევობას ვამოწმებთ გვერდიდან. სხეულის  
გვერდითი ვერტიკალური ღერძი ის პირობითი ხაზია,  
რომელიც გადის თხემიდან გარეთა სასმენი მილის  
ხერღზე, ქვედა ყბის უკანა კიდვზე, მენჯ-პარდაყვის  
სახსარზე, მუხლის სახსრის წინა კიდვზე და გარეთა  
კოჭის წინ. ამ შემოწმებისას ბავშვი სწორად უნდა  
იღვეს, არც წინ იხრებოდეს, არც უკან (სურ. 2). განსაკუ-  
თრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხერხემლის  
კონფიგურაციას. ნორმის მიხედვით, ხერხემლის სვეტს  
ტალღისებური ფორმა აქვს. ფიზიოლოგიური სიმრუ-  
დეები ხერხემალს მდგრადობას ანიჭებს და წონასწო-  
რობის დაცვას აადვილებს. ეს სიმრუდეები, ჩვეულებ-  
რივ, ზომიერადაა გამოხატული. კისრის და წელის




სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



## ხერხემელს!

ყურადღებიანი დედა თვალდათვალ დაადგენს, რომ ბავშვის ხერხემალს მკურნალობა სჭირდება. დააკვირდით თქვენს შვილებს და გაეცით პასუხი შემდეგ კითხვებს:

1. სტიკია თუ არა ბავშვის ხერხემლის არე?
2. ცალმხრივად იტიკივებს თუ არა სახსრებს, კერძოდ, მუხლს, მხარს, იდაყვს?
3. ხშირად ძიბავს თუ არა კისერს, თითქოს თავს მოხერხებულ ადგილს უძებნიდეს?
4. უყვარს თუ არა ცალ ფეხზე დგომა?
5. დააკვირდით, წინ წახარის დროს ხომ არ უსწრებს ერთი ხელი მეორეს?
6. ხომ არ დასჩემდა დღისით წამოწოლა წელის ტიკივლის მომიზეზებით?
7. დააკვირდით, მხრები ერთ ღონეზე აქვს?
8. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ბავშვი თავს ცალ მხარეს უფრო მეტად ხრის?
9. დააკვირდით, ხანდახან ხომ არ კოჭლობს?
10. თავს ხშირად ხომ არ იტიკივებს?
11. თავბრულ ხომ არ ეღსმის, ხომ არ აღებინებს, ყურებში შუილს ხომ არ უჩივის?
12. მიუღია თუ არა წარსულში ისეთი ტრავმები, გულისყრასა და შემდგომი ჭანმრთელობის გაუარესებას რომ იწვევს?
13. პერიოდულად ხომ არ აწუხებს მუცლის ტიკივილი?
14. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ბავშვს უჭირს დიდი ხნით წელში გამართვა?
15. დააკვირდით გოგონებს — ხომ არ ერღვევთ მგნტრულაური ციკლი?
16. ხომ არ იკლებს წონაში ბავშვი უმიზეზოდ?

ნაწილი გახსნილია წინ (ლორღოზი), გულმკერდის და გავის არე კი უკან (კიფოზი). ამ სიმრუდითა შემცირება, გაქრობა ან გადაჭარბებული გამოხატულება უკვე პათოლოგიაა. მუცლის პრესის კუნთები ამ ასაკში ჯერ სუსტადაა განვითარებული და დასაშვებია მუცლის მცირედი გამობერვა. ფეხები მუხლის სახსრებში გასწორებული უნდა იყოს და არა ზედმეტად გადაღუნული. ბოლოს ტანდევობას უკნიდან ვამოწმებთ (სურ. 3).

თავი ბავშვს სწორად უნდა ეჭიროს, მხრები, იღლის ფოსოები და თეძის ძვლის ქედები სიმეტრიული უნდა იყოს, ბეჭის ძვლები — ერთ ღონეზე და ხერხემლიდან თანაბრად დაცილებულია, წელის სამკუთხედები ერთნაირი, ხერხემლის ძალების წვეტიანი მორჩება ზუსტად შუა ხაზზე განლაგებული. ამის შესამოწმებლად ბავშვს უნდა ვთხოვით, წინ გადაიხაროს და ხერხემლის წვეტიან მორჩებზე ოდნავი შეწოლით დაეუსვათ თითი — კანზე განიდება შეწითლებული კვალი, რომელიც სწორ ვერტიკალურ ხაზს უნდა ქმნიდეს. ხერხემლის სისწორე შეიძლება შემოწმდეს ძაბვზე დაკიდებული სიმძიმითაც (სურ. 4).

შემდეგ ნომრებში ავიხსნით, როგორ შეიძლება ტანდევობის დარღვევის პროფილაქტიკა და მკურნალობა.

ექიმი ფიზიოთერაპეტი  
მარიამ პირველი

დადებითი პასუხები პირველიდან მეცხრე კითხვის ჩათვლით შეესაბამება 3 ქულას, ხოლო მეათე და მეთექვსმეტე კითხვაზე — ერთ ქულას.

დათვალეთ დადებითი პასუხების ქულები:

- 5-ზე ნაკლები ქულა: შეიძლება ითქვას, რომ ბავშვის ჩივილი დაკავშირებულია ხერხემლიანთან.
- 5 ქულიდან 8-მდე — ხერხემლიან დაკავშირებული პრობლემები მატულობს და სპეციალისტს უნდა მიმართოთ.
- 8-ზე მაღალი ქულები — ეჭვს გარეშეა — თქვენს ბავშვს სასწრაფოდ ყურადღება სჭირდება, მიიყვანეთ ექიმთან!

ბოლო დროს ბავშვებს შორის ალერგია ძალიან გახშირდა. ეს დაავადება მემკვიდრეობითაც ვადაცემბა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენც, უფროსებიც, ხშირად ვუწყობთ ხელს მის გავრცელებას. მაგალითად, წინდაუხედავად გავასინჯავთ ხოლმე ბავშვს ახლად შემოსული მარწყვის გემოს, მას კი მამინვე ეწყება ალერგიული დერმატიტი. *კნახით, ვვლაზე მეტად რა უწყობს ხელს ალერგიის პროვოცირებას.*

**საკვები.** ჩველი სწრაფად იზრდება და, ბუნებრივია, დედას უნდება სურვილი, მას „დიდებს“ საკვები

აჭამოს. მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ ალერგიათა შორის ვველაზე მეტად გავრცელებული სწორედ საკვების ალერგიაა. ხშირად დაავადების მიზეზია ძროხის რძე და კვრცხის ცილა. ასევე საერთოხილა ბოსტნეული და ხილი, უპირველესად — წითელ-ვვითილი ფერისა, შოკოლადი, თევზი, თხილი, თაფლი, ხენდრო და მარწყვი.

საკვების ალერგია გამოიხატება ტანზე გამონაყართ, მუცლის ტკივილით, ღებინებით, კუჭის აშლით ან შეკრულობით. გასათვალისწინებელია, რომ ალერგიას დაკონსერვებული პროდუქტებიც იწვევს.

**თამბაქოს ბოლი.** თუ სივარტს თავს ვერ ანებებთ, შინ მაინც ნუ მისწყვეთ! თამბაქოს ბოლი ზრდის სასუნთქი მილების გამჭარბობას და მავნებელ ნაწილაკებს თითქოს გზას უკაფავს ჩველის ორგანიზმში. ოჯახში, სადაც ეწვევიან ალერგიის ალბათობა ხუთჯერ მეტია.

**სახლის მტვერი.** შემდეგი „უჩინარი მტერია“ სახლის მტვერი და მასში დაბუდებული ტკიპები. ტკიპების საყვარელი ადგილია ბალიშები, პლედი, ხალიჩები, ძველი რბილი ავეჯი. ბავშვების საყვარელი „რბილი“ სათამაშოები რეგულარულად უნდა რეცხვით ან წმინდით მტკვერსასრუტით. შეგიძლიათ ღამით საყინულეშიც კი მოათავსოთ: დაბალი ტემპერატურა, ისევე როგორც შუის სხივები ტკიპებს ანადგურებს. მტვრის ალერგიისგან დაცვათ სახლის ყოველდღიური ტენიანი დალაგება. ამისთვის ჯობს ისეთი დრო შეარჩიოთ, როცა ბავშვი შინ არ არის. არ დაგავწყდეთ, რომ წიფნები შუშთან თარობენ ან დახურულ კარალებში უნდა შეაწყვით.

**შინაური ცხოველები.** თუ თქვენი ბავშვი მიდრეკილია ალერგიისკენ, ჯობს, არ იყოლიოთ სახლში ძაღლები, კატები და ჩიტები.

**თევზის საკვები.** თევზების საკვებში ბევრია დაფინი და მასთან შეხება ზრდის ალერგიის ალბათობას.

**ნესტაინი ბინა.** თუ სახლის ან სადარბაზოს კედლებზე ობი ან ხავსი აღმოაჩინეთ, ბინა ნესტაინი ყოფილა, რამაც შეიძლება სოკოს ალერგია გამოიწვიოს. ამის ერთ-ერთი გამოვლენებაა ბრონქიალური ასთმა.

**წამალი.** ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვებისთვის წამალი, განსაკუთრებით, ანტიბიოტიკები და პენიცილინი, მხოლოდ ექიმს შეარჩევინეთ.



### ცხოველები ჩვენს სახლში

თუ ბავშვს ნებისმიერი ალერგიული გამოვლენება ან ბრონქიალური ასთმა აღმოაჩნდა, უეჭოთაა, ჯობს შინ ცხოველები არ ვიყოლიოთ. **ბეწვი, ბუბუღი, სკორე, ცხოველის ნერწყვი და, თქვენ წარმოიდგინეთ, თევზების საკვებიც ალერგიის გავრცელების პოტენციური წყაროა.** ცხოველის ნერწყვი ხომ მიკრობების მთელი თიავულია!... აუხსენით ბავშვებს, რომ ძაღლებს სახე არ უნდა

აალოკინონ, ცხოველებთან თამაშის შემდეგ კი აუცილებლად დაიბანონ ხელები საპნით... ჭიბებით დაავადება (გელმინტოზის დაავადება) გამოიხატება მაღის დაქვეითებით, კუჭის აშლით ანდა, პირიქით, შეკრულობითაც, მუცლის ტკივილით.

**ორნიტოზი** კლამიდიოზის ერთ-ერთი სახეობაა, რომელსაც ფრინველები ავრცელებენ. ამ ავადმყოფობის სიმპტომები ემთხვევა გრიპოსას. ამიტ-

ომ, თუ შინ ჩიტები ვკვავს, უნდა გავფრთხილდეთ და ავადმყოფობის პირველი ნიშნების გამოვლენისთანავე ექიმს მივმართოთ.

ყოველივე ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ ცხოველები არ ვიყოლიოთ! **თუკი უსაფრთხოების წესებს დაცავთ, თუკი ბავშვიც ჯანმრთელია და ცხოველიც, მაშინ ოჯახში სრული პარმიონია სუფევს.**



შეიძლება არც დაივიწყოთ, რომ კარტოფილის შესახებ, ურომლისოდეს ჩვენი სამხარეო ვერც კი წარმოგივლიდათ, ჩვენმა წინაპრებმა საერთოდ არაფერი იცოდნენ. დღეს მას მიღობრებდა სსიპოვნებით მიირთმევენ და ღარიბებიც მაგრამ ყველამ როდი იცის, საიდან განადა კარტოფილი ჩვენში და როგორ უწინააღმდეგებოდა ხალხი მის გავრცელებას.

ადამიანი წმირად უფრთხის სისხლს კარტოფილსაც დიდხანს თვლიდნენ „მაყენებლად“ და ასე განსაჯეთ „კლდეინ სიბილწიდან“. თავდაპირველად კარტოფილი ნაშრით ამერკამი, პერუნში განადა იქმურებმა კარგად იცოდნენ კარტოფილის ფასი: კიდევ სახრდიობდნენ კარტოფილზე და ზოგიერთი სენსაც არჩენდნენ. ევროპელებმა, ამერიკა რომ აღმოაჩინეს, ბევრი ისეთი სარუტევი და მცნურავი ვადახდის იქ, რაც წინათ არ იყო კონტინენტზე წასახეს ძროხები, ცხენები, ღორები — სამაგიეროდ, ზოგი რამ იქიდან ევროპაშიც გადმოიტანეს სიმინდი, თამბაქო — შემოიტანეს კარტოფილიც მაგრამ მის ამერიკანის ათწლეულები დასჭირდა. გერმანიის მეფემ საგანგებო ბრძანებებიც გამოაცხადა, რომლითაც გლეხებს კარტოფილის მოყენას აიძულებდა, მაგრამ არც ამან გაკურა კარტოფილს „თეთრი-დამკიდრებამი“ იმის შემდგომი წლები დაებმარა ენობილია, შიმშილს ყველადერი გასობა და, კარტოფილს ჯერ კიზხად სთმუნდეს გემო, შერე და შერე — მან ღამის პურიც შეცვალა.

წლები კარტოფილი სასარგებლო, უყოთიანი პროდუქტების რიცხეს განეკუთვნება. იგი C ვიტამინის ერთგვარი ბუნებია, ვარა და მისი კარტოფილი შეიცავს B<sub>1</sub>, PP ვიტამინებს, კალციუმის მარილებს, მანგანუმს, ფოსფორს და კალიუმს.

**აღინი სიკეთის მუხედავად, კარტოფილი ზოგჯერ შეიძლება და საფრთხედაც იქცეს. ამის მიზეზია სოლანინის საწმახელი, რომელიც დიდხანს შემნახული პროდუქტის ბოლქვებში წნდება, ასეთ პროდუქტს ფუქსიმბე ქალიც არ უნდა გაეკარონ — სოლანინი ცუდად მოქმედებს ნაყოფის განვიითარებაზე. სპეციალისტების შარით, ზამთარში კარტოფილი არ არის სამშობი ორგანიზმისთვის, გაზაფხულზე კი საფრთხე მატულობს: კრძმოდ, ძველი კარტოფილი ხელს უწყობს უფუნქიობას, რასაც ავითამინოზად ნათლავენ.**

რადან ახლის შემოსვლამდე, ჩვეულებრივ, ძველ კარტოფილს მიერათმევი, უნდა ვიკოდიოთ, როგორ

შევაძეკროთ მის ბოლქვებში სოლანინის რაოდენობა: პირველ ყოვლისა, ძველი კარტოფილი კარგად გათავილით, გამოიყენეთ შხილიოდ მისი რეული, რადგან სწორედ ესაში გროვდება მიული საწმახელი. კარგად გალილი კარტოფილი მარილი ამთალიეთი და თივდახურულ ტაფებზე შეწყეთი. მარილი სპობს არა მარტო სოლანინს, არამედ ნიტრატებსაც.

**როგორც უკვე ვთქვით, კარტოფილი საფრთხილია გაზაფხულზე, შემდეგ კი, განსაკუთრებით შემოდგომაზე, თამამად შეგვიძლია დავტკნეთ მისი გემოთი და არამატიო, მეტიც, კარტოფილი გავიუქმებხითი ჯანმრთელობა.**

განსაკუთრებით სასარგებლოა ახალი კარტოფილის წვენი. კალიუმის მატილი შემცველობის გამო, იგი გამოიყენება როგორც გულ-სისხლძარღვთა, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის დაავადებთა საწყურნალიოდ. უში დაჭირილი კარტოფილი ჯურნავენ ეგზემას და კანის სხვა დაავადებებს. ძალიან ეფექტურია კარტოფილის ანაოთქოთი ინსალაცია ხეეულებისა და სურდოს დროს.

**ნაღობისა და ძირმავარის საწყურნალიოდ —** დღეში რამდენჯერაც 3-4 საათის ინტერვალში დალიეთ უში გაბეხილი კარტოფილი მტკიცეულ ადვილას.

**ართრის დროს —** დალიეთ 1 ჭ. თბილი ნახარში დლითი უშიზზე და საღამოს, ძილის წინ.

**მაღლი წნევის, ფობრობის, კუჭის შეგუბობის დროს —** სეთი 1/4 ჭ. ახალი კარტოფილის წვენი დღეში 2-3-ჯერ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე სთი კვირის განმავლობაში.

**გასტრიტის (მაღალი მჟავიანობის დროს) —** 1 ს. კ. თაფლი აურიეთ 1 1/2 ჭ. ახალგამოწურულ კარტოფილის წვენი და მიილეთ 1/3 ჭ. 2-3-ჯერ დღეში ჭამამდე 1 საათით ადრე, კურსი 10-დღიანია და შედელიათ ერთი კვირის შემდეგ კიდევ გაიმეორათ.

**კუჭისა და თორმეტკეცა ნაწლავის წყლულის დროს** სეთი დლით უშიზზე 1/2 ჭ. ახალგამოწურული კარტოფილის წვენი, ხოლო დღის განმავლობაში — 1/4 ჭ. სადილამდე და ვანმამდე 20 წუთით ადრე; მუერნალობის კურსი ერთი კვირია. მისი გამოყრება შეიძლება ერთი თვის შემდეგაც.

**თირკმლებში კვების დაშლის ხელს უწყობს** ახალი კარტოფილის კანის ნახარში. ვთავაზობთ რეცეპტს: ალიეთ ორი პემვი ახალი კარტოფილის ნაფუქციანი და მოხარშიეთ დარბილებამდე, გადაწურეთ და სეთი 1/2 ჭ. ნახარში 2-3-ჯერ დღეში.

## ვთავაზობთ კარტოფილის კერძების რამდენიმე რეცეპტს:

- პაროტკვირძინი — გლახურაი პაქმარკაბა**
- 0,5 კგ კარტოფილი
  - 2 ს. კ. ფეკილი
  - 50 გ კარაჭი
  - 3 ც. კვერცი
  - მარილი

მოხარშიეთ კარტოფილი კანინად, გიფუქციანი, დაჭერიო მრგვლად (სქლად), მოაყარეთ მარილი და ამოაყეთ ფეკილში. დააწყეთ ტეფაზე და მოახით ათქვევითი კვერცი.

## კარტოფილი რძაში — თაბიოი ნაჭკა

- 8-10 კარტოფილი
- 2 ჭ. რძე
- 20 გ კარაჭი
- 2 ც. ხახვი
- კაბა, ოხრაბუში, მარილი

გაფუქციანი კარტოფილი, დაჭერიო პატარა კონიქთა ნაჭრებად და ხარშიეთ. 10 წუთის შემდეგ წყალი გადაწურეთ და დასხით სტელი რძე, ჩაუმტეთი მარილი და გააგრძელეთ ხარში, მოხარ-შულ კარტოფილს დაუმტეთეთ კარაჭი მოშუშული ხახვი და ფრთხილად აურიეთ, შემდეგ მოაყარეთ მწინილი და მიირთვიეთ.

## ნივინი პარტოფილი — ტკაპილი კარტოფილი

- 6-8 კარტოფილი
- 1/2 ჭ. ფეკილი
- 1/2 ჭ. შაჭარი
- 4 ს. კ. მცენარეული ზეთი
- 1/2 ჭ. გატარებული ნივინი
- 2 ც. კვერცი
- სოდა, დარიჩინი, ლიმონის ცედრა

კარტოფილი გაფუქციანი, მოხარ-შეთი და აზილეთ. დაუმტეთე შაჭართან ერთად აფუქციანი კვერცი, შემდეგ — ზეთი, ნივინი, დარიჩინი, ლიმონის ცედრა, სოდა და ფეკილი.

ამ ყველფორისგან მოხალეთ ცომი. გაბარტყელეთ სქლად და მიეციეთ გრძივი ფორმა. დაჭერიო პატარა პატარა ნაჭრებად და დააწყეთ კარაჭისმულ ტეფაზე, გამოატყეთი პაერ-ღუმელში.









## ცხილხყლი გაგაღიჭები



- მამამ სთქვა, რომ ეს დიდი მუხა ჩვენმა პაპამ თავის ბავშვობაში გადმოიტანა ტყიდან და დარგო.  
- უპ, რა ღონიერი ყოფილა ჩვენი პაპა!



- ნინიკო, თეფში შენ გატეხე?  
- არა, მე ხელიდან გამოვარდა, იატაკმა კი გატეხა.



- მამი, მიყიდე ერთი დიდი მხეცი?!  
- არ შეიძლება, მხეცს ბევრი საჭმელი სჭირდება.  
- შენც ის მხეცი მიყიდე, აი, გალიაზე რომ აწერია, გთხოვთ საჭმელი არ აჭამოთ.

პრობლემა კვლავ იგივე რჩება, მასწავლებლები უქმყოფილები არიან, გაკვეთილზე უყურადღებოდ ზის, სადღაც დაფრინავს, არადა, ნიჭიერი რომ არ იყოს, თავს დაანებება კაცი, მაგრამ ახლა რატომ... მასწავლებლის თქმა რად უნდა, განა შინაც იგივე არ ხდება? ერთ საქმეს ბოლომდე ვერ მიჰყვება: მეცადინეობს დროს თამაშობს, თან ხატავს, თითქოს გულს ვერავერს უღებს, დახანუღია და უყურადღებო. რისი ბრალია? რა უნდა მოეუხერხოს?... მიეღი ოჯახი წუხს და გამოსავალს ვერ პოულობს.

ჩხუბი და საყვედური საქმეს ვერ უშველის. ვიღოს დრო გამონახოს და ხშირად ითამაშოთ შვილთან. არის ისეთი გასართობები, რომლებიც თქვენც გაგახალისებთ, ბავშვსაც და მისი უყურადღებობის პრობლემასაც ნელ-ნელა უკვალოდ გაქრება. ამ გასართობი თამაშების დროს ხან დამხმარე იქნებით, ხან, პარტნიორი, საბოლოოდ კი - ბავშვის პრობლემების „მკურნალი“.

### ვიმღერთო ერთად!

### აბდაყბადა

ბავშვთან ერთად ჯდებით და ირჩევთ ცილისთვის კარგია ასეთი თამაშ: „აბდაყბადა“ წვიმა მოვიდა“. ტაშის ერთ დაკვრაზე მღერით ხმამაღლა, ორ დაკვრაზე - თქენივის, გულში; ერთი დაკვრა - ისევ ხმამაღლა... ყურადღების გადართვა ერთი მოქმედებიდან მეორეზე ბავშვს კი არა, ალბათ თქვენც ვიპიროთ და ეს თამაში ორივეს გამოავლევთ.

ყურადღების კონცენტრაციისთვის კარგია ასეთი თამაშ: შესთავაზეთ ბავშვს უშუქლოდ გარეშე გადაწვროს წინასწარ მომზადებული აბდაყბა, თუნდაც სულ უაზრო ტექსტს, აი, მაგალითად, ასეთი ობადიკო მარდი ტარებულუკა უშუქლოდ!

### ნაცნობი ყცნობი

ბავშვი კარვად ათვალეერებს მისთვის უკვე ნაცნობ ოთახს, გადის, თქვენ კი შესამჩნევ აღვიღზე დებთ რაიმე ახალ საგანს. უკან მობრუნებულმა პატარამ უნდა მოეხზნოს ახალი საგანი ნაცნობ ოთახში.

## ნახაცი-ცესცი



ბავშვი ყურადღებით უნდა დააკვირდეს და ერთი წუთის განმავლობაში დაიმანსოგროს ყველაფერი, რაც ამ ნახატზეა. მერე კი უპასუხოს თქვენს შეკითხვებს:

- რა საგნებს იყო ნახატზე?
- რამდენი ზეა ეზოში?...
- რამდენი კატა ჰყავთ სახლში?
- რამდენი ფაჯარა აქვს სახლს?
- რა სათამაშოა შენიშნე ეზოში?
- სად იწვა ძალი?
- რამდენი სახლია ეზოში?
- ნახატზე დღეა თუ ღამე?
- ერთო თუ არა ბუხარი?
- რამდენი სათლია ნახატზე?

- 5 ქულა, თუ დაასახელა 10 საგანი და ყველა კითხვას უპასუხა.
- 4 ქულა, თუ დაასახელა 8 საგანი და 5 კითხვას უპასუხა.
- 3 ქულა, თუ დაასახელა 5 საგანი და ორ კითხვას უპასუხა.
- თუ ამასაც ვერ მოახერხებს, დასაწყისისთვის არ იდარღოთ, ხშირად ივარჯიშეთ ერთად.